



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

დუშეთის მუნიციპალიტეტის

საკრებულო

GEORGIA

MUNICIPAL COUNCIL OF

DUSHETI



1800 ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. №27

☎: 22-19-38, 22-19-39

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბრძანება №227

2014 წლის 04 ივნისი

ქ.დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2014 წლის 1 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის დამთვლელი დროებითი კომისიის შექმნის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 54-ე და 61-ე მუხლების პირველი ნაწილების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეიქმნას დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2014 წლის 1 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის დამთვლელი დროებითი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ქეთო წიკლაური _ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის თავმჯდომარე;

ზურაბ ყაჭიური _ ქონების მართვის, ინფრასტრუქტურის განვითარების და ეკონომიკის სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი;

ამირან ძლიერიშვილი _ სტატისტიკის განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი;

ივანე სულაბერიძე _ ინფრასტრუქტურის განვითარების და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი, კომისიის წევრი;

მიხეილ ქუცნაშვილი _ ინფრასტრუქტურის განვითარების და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი, კომისიის წევრი;

მამუკა ჭინჭარაული – სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი, კომისიის წევრი;

დუშეთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი (რწმუნებული) შესაბამის თემში.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მიღება ეთხოვოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დუშეთის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო – საკონსულტაციო სამსახურის თანამშრომლებს:

ზურა სეხნიაშვილს;

ნანი თეთრუაშვილს;

გელა ბადაგაძეს.

2. კომისიამ უზრუნველყოს ადგილებზე სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის დათვლა და შესაბამისი წინადადებების მომზადება.

3. დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ უზრუნველყოს კომისიის მუშაობის

საწვავით უზრუნველყოფა

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ცარო სამაგლიშვილი

